კონკურსი

სასამართლოს საქმისწარმოების პროგრამისათვის დოკუმენტაციის მიწოდება/მიღების ელექტრონული სისტემის შექმნისა და მომსახურების ექსკლუზიური უფლების მოპოვების შესახებ

სარჩევი

ცნებების განმარტება 3

ზოგადი დებულებები და მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ 4

არაფუნქციური მოთხოვნები სისტემის მიმართ 7

რეგისტრაცია-აუთენტიკაცია-ავტორიზაციის მექანიზმი 7

უსაფრთხოების სისტემის ინფრასტრუქტურა 8

გადახდის ძრავი 8

ბილინგის სისტემა 9

კონტროლის სისტემა 9

გამოთვლითი, შემნახველი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა 9

ფუნქციური მოთხოვნები საბაზო პაკეტის მიმართ 10

გარე მომხმარებლის მიერ სისტემის მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება 10

გარე მომხმარებლის მიერ კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების სერტიფიკატის მიღება 11

ავტორიზაცია 11

სარჩელის ფორმების შევსება და გაგზავნა 11

საქმესთან დაკავშირებული განცხადების ფორმების შევსება და გაგზავნა 12

სხვა ტიპის განცხადებების გაგზავნა 12

ინფორმაციის გაგზავნა/მიღება 12

საქმის ნახვა საქმისწარმოების პროგრამაში 13

შეტყობინებები და კალენდარი 13

სასამართლოს მიერ სარჩელის მიღება 13

სასამართლოს მიერ საქმესთან დაკავშირებული განცხადებების, შუამდგომლობებისა და სხვა დოკუმენტების მიღება 14

ცნებების განმარტება

„დეპარტამენტი“ - სსიპ „იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.“

„საქმისწარმოების პროგრამა“ - პირველი ინსტანციის სასამართლოებში მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა.

„პრეტენდენტი“ - კონკურსში მონაწილე კომპანია, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაში გაუფორმდება სასერვისო ხელშეკრულება.

„მიმდინარე საქმე“ - წარმოებაში მყოფი საქმე, რომელზეც მოცემულ მომენტში არაა გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება.

„სისტემა“ - სასამართლოს სისტემის საქმისწარმოების პროგრამაში სასამართლო დოკუმენტაციის მიწოდების ელექტრონული სისტემა.

ზოგადი დებულებები და მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ

1. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს დეპარტამენტში არსებული, ექსპლუატაციაში მყოფი, საქმისწარმოების პროგრამაში კანონით განსაზღვრული ავტორიზებული ფიზიკური და იურიდიული პირების დაშვების სერვისები. აღნიშნული უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ავტორიზებული პირის საქმისწარმოების პროგრამაში არსებული ყველა იმ პროცესში ვირტუალური (ელექტრონული) მონაწილეობით, რომლის საშუალებასაც იძლევა საქმისწარმოების პროგრამა და ამგვარი მონაწილეობა აუცილებელია, ან სასურველი.

2. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა აღწერილი სერვისის მისაწოდებლად უნდა შექმნას სპეციალური ელექტრონული სისტემა და მისი ფუნქციონირებისთვის გამოყოს ადეკვატური აპარატული, პროგრამული და ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც დატვირთვის ზრდის შემთხვევაში უნდა მასშტაბირდებოდეს სერვისის წყვეტის გარეშე.

3. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა მომხმარებლებს უნდა შესთავაზოს ფასიანი სასერვისო პაკეტი, რომლის ფუნქციაც აღწერილია ქვეთავში: **„ფუნქციური მოთხოვნები საბაზო პაკეტის მიმართ“.** მომსახურების სპექტრისა და ხარისხის გაზრდის მიზნით, გამარჯვებულ პრეტენდენტს, დეპარტამენტთან შეთანხმებით, შეუძლია შექმნას სხვა ფასიანი მომსახურების პაკეტები.

4. საბაზისო პაკეტისა და სხვა შეთანხმებული პაკეტების სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს აუცილებელი ცვლილებები საქმისწარმოების პროგრამაში.

5. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული გადახდის ძრავის შექმნა, რომელიც თავსებადი იქნება საქართველოში მოქმედ გადახდის/საბანკო სისტემებთან.

6. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სისტემის უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაცვა როგორც სისტემის, ისე ორგანიზაციის შიგნით არსებული პროცედურების დონეზე და ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 წლის ვადაში გაიაროს ISO 27001 სერტიფიკაცია.

7. დეპარტამენტი იღებს ვალდებულებას, რომ საქმისწარმოების პროგრამაში არ განახორციელოს ისეთი ცვლილებები, რაც იმ მომენტისათვის გამარჯვებული პრეტენდენტის საწარმოო ექსპლუატაციაში მყოფი სისტემის ფუნქციონირებას შეუძლებელს გახდის.

8. საქმისწარმოების პროგრამაში სააპელაციო და საკასაციო საქმისწარმოების მოდულის დამატების შემთხვევაში, დეპარტამენტი იღებს ვალდებულებას, გამარჯვებულ პრეტენდენტს შეუთანხმოს საქმისწარმოების პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, შეთანხმებულ ვადებში, დამატებით მოდულებში უზრუნველყოს სისტემის ფუნქციონირება.

9. საბაზო სასერვისო პაკეტში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. გამარჯვებული პრეტენდენტი სერვისების ექსკლუზიური პროვაიდერის უფლებებით სარგებლობისათვის ვალდებულია, დეპარტამენტს გადაუხადოს აღნიშნული სერვისებიდან მიღებული წლიური შემოსავლის 10%. კონკურსის ჩატარების დროს მინიმალური სავაჭრო ბიჯი მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მაჩვენებლის მიმართ ზრდადობის პრინციპით შეადგენს 5%-ს.

11. კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება 20 წლით.

12. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა სისტემის გაშვება/ჩაბარება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვეში, არაუგვიანეს 2013 წლის 1 სექტემბრისა. ამასთან, არაუგვიანეს 2013 წლის 1 მარტისა, პრეტენდენტმა უნდა შექმნას სისტემა

საბაზო პაკეტის ფუნქციონალით. ამ პერიოდში გამარჯვებული პრეტენდენტი თავისუფლდება ხელშეკრულებით დადგენილი შემოსავლის პროცენტისა და მე-14 პუნქტით გათვალისწინებული შესაძლოდ დასაკისრებელი ჯარიმის გადახდისაგან. მომდევნო პერიდში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 სექტემბრისა, პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს საბაზო სასერვისო პაკეტის ტესტირება და პილოტური გაშვება საწარმოო დატვირთვით. ამ ეტაპზე გამარჯვებული პრეტენდენტი იხდის მხოლოდ შემოსავლის ხელშეკრულებით დადგენილ პროცენტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

13. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია შემდეგი პირობებით: გარანტიის ოდენობა - 10 000 ლარი; საბანკო გარანტიის ვალიდურობა - 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. იმ შემთხვევაში, თუ გაშვება/ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ სისტემის ექსპლუატაციიდან მისაღები ყოველთვიური შემოსავლიდან დეპარტამენტის წილი არ გადააჭარბებს 2000 ლარს, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, თვის ბოლოს ჯარიმის სახით გადაუხადოს დეპარტამენტს 2000 ლარამდე დარჩენილი თანხის სხვაობა.

15. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი დაარღვევს გაშვება/ჩაბარების ვადას, ან აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ზედიზედ სამჯერ დაეკისრება მე-14 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა, დეპარტამენტი უფლებამოსილია, ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება. აღნიშნულ შემთხვევაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საკონკურსო მოთხოვნების ფარგლებში შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა სარგებლობის უფლებით უვადოდ, უსასყიდლოდ გადაეცემა დეპარტამენტს.

არაფუნქციური მოთხოვნები სისტემის მიმართ

გამარჯვებული პრეტენდენტი კომპანიის მიერ შექმნილ სისტემას უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპონენტები და ფუნქციები:

რეგისტრაცია-აუთენტიკაცია-ავტორიზაციის მექანიზმი

მომხმარებლის უნიკალურობისა და იდენტობის მართვა, კერძოდ:

რეგისტრაცია - მომხმარებელს უნდა შეეძლოს სისტემაში რეგისტრაცია. რეგისტრაციის კომპონენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ მომხმარებლის რეკვიზიტები (მაგალითად, მისი სახელი, პაროლი, კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების სერტიფიკატი, დიჯიპასის კოდი და ა.შ.) უნიკალურია და ცალსახად შეესაბამება რეალურ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს.

აუთენტიკაცია - სისტემამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის ავთენტურობის (უნიკალურობის) შემოწმება მის ჩანაწერებში არსებული რეკვიზიტების გამოყენებით.

ავტორიზაცია - სისტემამ უნდა უზრუნველყოს აუტენთიფიცირებული მომხმარებლის უფლებები და დაშვება იმ და მხოლოდ იმ რესურსზე, რომელიც მას სისტემაში აქვს განსაზღვრული.

Single Sign On - სისტემამ უნდა უზრუნველყოს რეგისტრირებული და აუტენტიფიცირებული მომხმარებლის წვდომა სისტემაში არსებულ ყველა რესურსსა და სერვისზე, რომელზეც მას ავტორიზაცია გააჩნია რეკვიზიტების ერთი ნაკრების გამოყენებით.

აუდიტი და ანგარიშგება - სისტემას უნდა გააჩნდეს აუდიტისა და ანგარიშგების ამომწურავი შესაძლებლობები მომხმარებლების რეგისტრაცია-აუთენტიკაცია-ავტორიზაციასთან მიმართებით.

უსაფრთხოების სისტემის ინფრასტრუქტურა

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შექმნილმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხო გაცვლა მომხმარებლებსა და სხვა სისტემებთან საკომუნიკაციო არხებისა და პროტოკოლების არსებული სიმრავლის გამოყენებით. უსაფრთხო კომუნიკაცია გულისხმობს შემდეგი ფუნქციის არსებობას:

დაშიფრვა/განშიფრვა - გადაცემულ ინფორმაციაზე წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ მის გამგზავნსა და ავტორიზებულ მიმღებს.

აუთენტიკაცია/ავტორიზაცია - ინფორმაციის გამგზავნი უნდა იყოს უნიკალურად იდენტიფიცირებადი და ავტორიზებული ყოველი კონკრეტული რესურსის გამოყენებაზე, რათა შეძლოს ინფორმაციის გაგზავნა/მიღება.

არამართლზომიერი უარყოფის შეუძლებლობა (Non-Repudiation) - სისტემას უნდა შეეძლოს ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები მომხმარებლის უნიკალური იდენტიფიკაცია და ნებისმიერი ტრანზაქციის აუდიტი. ეს გულისხმობს PKI-ზე ბაზირებული ელექტრონული ხელმოწერის ტექნოლოგიის გამოყენებას, მსოფლიო და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად.

სენსიტიური მონაცემების დასაცავად სისტემამ უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო დონის უსაფრთხოების პროტოკოლების (SSL/TLS) და მაღალი დონის უსაფთხოების პროტოკოლების მხარდაჭერა.

გადახდის ძრავი

პრეტენდენტის მიერ შექმნილი სისტემა უნდა შეიცავდეს გადახდების ძრავს, რომელიც აუცილებელია ტრანზაქციების დასრულებისათვის. ძრავი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ტრანზაქციისა და პროცესისასთვის და უნდა მუშაობდეს გადამისამართების მოდელზე შემდეგი ფუნქციით:

ავტორიზაცია - გადახდის ავტორიზაცია სერვისის პროვაიდერისა და მომხმარებლის მონაცემებზე დაყრდნობით.

ანგარიშგება - გადახდის ძრავმა უნდა აკონტროლოს ყველა ტრანზაქცია, რათა აღიკვეთოს სერვისის არაკანონიერი გზით გამოყენება.

გადახდის მრავალი წყარო - გადახდის ძრავს უნდა შეეძლოს მრავალი წყაროს გამოყენება. მაგალითად: საბანკო ანგარიშები, საკრედიტო ბარათები, საქართველოში არსებული გადახდის სისტემები და ა.შ.

ბილინგის სისტემა

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ შექმნილი სისტემა უნდა შეიცავდეს ბილინგის სისტემას, რომელიც მოაწესრიგებს ფინანსურ ვალდებულებებს გამარჯვებულ პრეტენდენტსა და სისტემის მომხმარებლებს შორის და ასევე საშუალებას მისცემს დეპარტამენტს, აკონტროლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები.

კონტროლის სისტემა

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა საქმისწარმოების პროგრამაში უნდა "ჩააშენოს" ისეთი ფუნქცია, რომელიც საშუალებას მისცემს მოსამართლეს, ცალმხრივად შეუზღუდოს წვდომა სისტემის ნებისმიერ მომხმარებელს პროგრამის ნებისმიერ კონკრეტულ ელემენტზე და/ან მათ ერთობლიობაზე, მიუხედავად ამ მომხმარებლის გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებრივი სტატუსისა.

გამოთვლითი, შემნახველი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კლასტერული ტიპის გამოთვლითი სიმძლავრეები, დაფუძნებული თანამედროვე პროცესორულ რესურსზე, რომლის სპეციფიკაციაც ასე გამოიყურება:

- ✓ ტაქტური სიხშირე: მინიმუმ 2.4 გჰც
- ✓ ქეშ მეხსიერება: მინიმუმ 24 მბ
- ✓ ბირთვების რაოდენობა: მინიმუმ 8
- ✓ ინსტრუქციების ნაკრები: 64 ბიტი

დასაშვებია ალტერნატიული კონფიგურაციის პროცესორების გამოყენება წარმადობის შენარჩუნების პირობით.

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შემდეგი შემნახველი ქვესისტემა:

მაღალმდგრადი შემნახველი მასივი, არანაკლებ 10 ტერაბაიტი, გაზიარებული და სრულად რეზერვირებული დისკური სივრცით.

არანაკლებ 40 ტბ ლენტური ბიბლიოთეკა მუდმივი არქივის შესაქმნელად.

არანაკლებ 10 გბ/წმ გამტარობის სრულად რეზერვირებული კომპიუტერული ქსელის კომუტატორების სისტემა.

გამოთვლითი, შემნახველი და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა უნდა აიგოს იმგვარად, რომ იძლეოდეს ვერტიკალური და ჰორიზონტალური მასშტაბირების შესაძლებლობას სერვისის გათიშვის გარეშე. სამიზნე ხელმისაწვდომობა - 99,9%.

ფუნქციური მოთხოვნები საბაზო პაკეტის მიმართ

გარე მომხმარებლის მიერ სისტემის მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება

პრეტენდენტის პორტალზე გარე მომხმარებელმა უნდა შეძლოს სისტემაში ავტორიზაციისათვის საჭირო მომხმარებლის სახელისა და პაროლის მიღება. აღნიშნული შესაძლებელი უნდა იყოს პორტალზე სპეციალური ანკეტის შევსებით, რომელსაც სისტემა გამოიყენებს მონაცემების ვალიდურობის დასადგენად. რეგისტრაციის შემდეგ სისტემა ანკეტაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართსა და მობილური ტელეფონის ნომერზე გააგზავნის შეტყობინებას (ფოსტისთვის გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს აქტივაციის ლინკი და უსაფრთხოების კრიპტოგრაფიული სერტიფიკატის მიღების ადგილი და დრო). რეგისტრაციის დასრულების შესახებ ელექტრონულ ფოსტაზე მიღებულ აქტივაციის ლინკზე გადასვლისა და უსაფრთხოების სერტიფიკატის კომპიუტერზე ინსტალაციის შემდეგ მომხმარებელი უნდა გადავიდეს პრეტენდენტის პორტალზე არსებულ მისთვის განკუთვნილ სპეციალურ გვერდზე (მომხმარებლის ანგარიში/აქაუნთი), რომლის მეშვეობითაც საშუალება ექნება, კავშირი დაამყაროს საქმისწარმოების პროგრამასთან და შეასრულოს მისთვის სასურველი მოქმედებები.

გარე მომხმარებლის მიერ კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების სერტიფიკატის მიღება

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების სერტიფიკატის მიწოდება გარე მომხმარებლებისათვის. სერტიფიკატის გადაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ იდენტიფიცირებული გარე მომხმარებლებისათვის. დაუშვებელი უნდა იყოს სერტიფიკატის სხვა პირზე გაცემა. უნდა არსებობდეს სერტიფიკატის მომხმარებლისათვის ადგილზე მიწოდების შესაძლებლობა.

პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების გაწევა სერვისის შინაარსით გათვალისწინებულ ფარგლებში. პრეტენდენტმა უნდა გამოაქვეყნოს პორტალის კრიპტოგრაფიული უსაფრთხოების სისტემასთან თავსებადი აპარატული და პროგრამული უზრუნველოფის ჩამონათვალი.

ავტორიზაცია

სისტემაში სამუშაოდ რეგისტრირებულმა გარე მომხმარებელმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზაციისათვის უნდა მიეთითოს მომხმარებლის სახელი, პაროლი და უსაფრთხოების კრიპტოგრაფიული სერტიფიკატი.

სარჩელის ფორმების შევსება და გაგზავნა

სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს საქმისწარმოების პროგრამის შესაბამისი სარჩელის ფორმების შექმნა. პორტალზე შესვლის შემდეგ ავტორიზებული მომხმარებლებისათვის სპეციალური მენიუს საშუალებით უნდა შეიძლებოდეს მომხმარებლისათვის საჭირო ფორმის ამორჩევა, შევსება და გაგზავნა.

სარჩელის ფორმა უნდა შედგებოდეს რამდენიმე ჯგუფისაგან:

- ძირითადი (ანკეტური) ინფორმაციის შევსება;
- საქმისწარმოების პროგრამაში არსებული ცნობარების შესაბამისი ინფორმაციის შევსება;
- მიბმული ფაილების ატვირთვა;

- შევსებული ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობა.

ფორმაზე უნდა იყოს საქმისწარმოების პროგრამაში არსებული ცნობარების შესაბამისი ინფორმაციის ველები:

- მონაწილე პირების სახელი;
- გვარი;
- პირადი ნომერი;
- მისამართი;
- ტელეფონი;
- შემოსვლის წესი.

საქმესთან დაკავშირებული განცხადების ფორმების შევსება და გაგზავნა

ავტორიზებული მომხმარებლები საქმისწარმოების პროგრამაში დარეგისტრირებული საქმეებისათვის საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე საქმეს ურთავენ სხვადასხვა ტიპის განცხადებებს, შუამდგომლობებს და ა.შ. ავტორიზებულ მომხმარებელს საქმის მოდულში უნდა შეეძლოს განცხადების რეგისტრაცია.

სხვა ტიპის განცხადებების გაგზავნა

ავტორიზებული მომხმარებლები საქმისწარმოების პროგარმაში სხვადასხვა მოთხოვნით აგზავნიან სხვადასხვა ტიპის განცხადებებს; ავტორიზებული მომხმარებლის გაგზავნილი განცხადებების მოდულში უნდა იყოს შესაძლებლობა, დარეგისტრირდეს განცხადება საქმისწარმოების პროგრამაში არსებული ცნობარების შესაბამისი ინფორმაციის შესაბამისად.

ინფორმაციის გაგზავნა/მიღება

სასამართლოში საქმის განხილვის დროს ავტორიზებულ მომხმარებელთან შეიძლება გაიგზავნოს სხვადასხვა დოკუმენტი (განჩინებები, გზავნილები, უწყებები და ა.შ.). საქმისწარმოების სისტემაში განსაზღვრული უნდა იყოს საქმეში მონაწილე პირებიდან ვინ არის ავტორიზებული მომხმარებელი და მასთან ყველა სახის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ელექტრონულად. ინფორმაციის გაგზავნის შემდეგ ავტორიზებულ მომხმარებელთან ინფორმაცია უნდა გამოჩნდეს სპეციალურ მენიუში და ასევე

შეტყობინებებში; ავტორიზებულ მომხმარებელთან გაგზავნილი ინფორმაცია უნდა ჩაითვალოს მიღებულად და დოკუმენტების შესრულების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს გზავნილის განხორციელების მომენტიდან; გაგზავნილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტორიზებულმა მომხმარებელმა შეიძლება დააგენერიროს პასუხი და გააგზავნოს საქმისწარმოების პროგრამაში. პასუხი საქმისწარმოების პროგრამაში გაიგზავნება იმავე წესით, როგორც საქმესთან დაკავშირებული განცხადება.

საქმის ნახვა საქმისწარმოების პროგრამაში

ავტორიზებულ მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დათვალიერების რეჟიმში ნახონ საქმისწარმოების პროგრამაში დარეგისტრირებული საქმის დეტალები, თუ ისინი წარმოადგენენ ამ საქმის მონაწილე მხარეს; ამასთან, დათვალიერების უფლება მოქმედებს მხოლოდ საქმის დასრულებამდე.

შეტყობინებები და კალენდარი

მომხმარებელს, საქმესთან დაკავშირებული მასალების გაგზავნა/მიღების გარდა, უნდა შეეძლოს მიმდინარე საქმეებზე პირადი ჩანიშვნებისა და კომენტარების ჩაწერა/შენახვა. ასევე, კალენდარული დაგეგმარების წარმოება და სასამართლოდან მიღებული კალენდარული სანიშნეების დამახსოვრება.

სასამართლოს მიერ სარჩელის მიღება

ავტორიზებული მომხმარებლების მიერ ძირითადი (ანკეტური) ინფორმაციის შევსების შემდეგ ინფორმაცია უნდა მოხვდეს შესაბამისი სასამართლოს თანამშრომელთან. ამისათვის საჭიროა გზავნილების სტატუსის შექმნა, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა მსგავსი გზავნილი და შესაძლებელი გახდება მათი დეტალური დათვალიერება/დასტური/უარყოფა. მიღებული სარჩელის შესაბამისად, სასამართლოს თანამშრომელი უარყოფს (ფორმის არასწორი შევსების შემთხვევაში) ან დაადასტურებს გზავნილს. უარყოფის შემთხვევაში ავტორიზებულ მომხმარებელთან შეტყობინების სახით (ელექტრონულ ფოსტაზე, პორტალზე შეტყობინებების ბლოკში) უნდა გაიგზავნოს შეტყობინება უარყოფის შესახებ და შესაბამისი მიზეზი, ხოლო დასტურის შემთხვევაში

უნდა მოხდეს სარჩელის მიღება და დარეგისტრირება - როგორც საქმის, რის შედეგადაც მომხმარებელთან უნდა გაიგზავნოს შემდეგი სახის ინფორმაცია: საქმის ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და განმხილველი მოსამართლე.

სასამართლოს მიერ საქმესთან დაკავშირებული განცხადებების, შუამდგომლობებისა და სხვა დოკუმენტების მიღება

მას შემდეგ, რაც სისტემის ავტორიზებული მომხმარებლები საქმისწარმოების პროგრამაში რეგისტრირებულ საქმეებს განხილვის სხვადასხვა ეტაპზე დაურთავენ სხვადასხვა ტიპის განცხადებებს, ისინი უნდა მოხვდეს სასამართლოს საქმისწარმოების პროგრამაში, შესაბამის თანამშრომელთან, რომელმაც უნდა დაადასტუროს/უარყოს განცხადების მიღება და მიაბას შესაბამის საქმეს. პროცესის დასრულების შემდეგ განცხადების შესახებ ინფორმაცია უნდა დაუბრუნდეს ავტორიზებულ მომხმარებელს.

სასამართლოს მხრიდან გზავნილის მიღებაზე დასტურის შემთხვევაში, ის მაშინვე აისახება სისტემაში.